თანასწორობის საფუძვლები და გარანტიები

მე ვირჩევ თანასწორობას

I CHOOSE EQUALITY

ონლაინ ჟურნალი მომზადდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ, კამპანიის „მე ვირჩევ თანასწორობას" მხარდაჭერით, რომელიც ხორციელდება ევროპის საბჭოს პროექტის „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში" ფარგლებში. მასში მოსაზრებები გამოთქმულია ავტორთა პასუხისმგებლობით და არ არის აუცილებელი ასახავდეს, ევროპის საბჭოს მოსაზრებებს.

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

2021 წლის დეკემბერი

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს განამტკიცებს, რომელიც ყველა ადამიანს აძლევს იმის გარანტიას, რომ მიუხედავად რაიმე ნიშნით განსხვავებულობისა, **მას მოეპყრობიან თანასწორად.**

„ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. **აკრძალულია დისკრიმინაცია** რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკურaი კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით".

„საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა, უფლება აქვთ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში ან საჯაროდ".

„სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად".

„სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის".

საქართველოს კანონი "დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ", 2014 წ.

ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

კანონის თანახმად, დაუშვებელია დისკრიმინაცია:

ენის

სქესის

კანის ფერის

წარმოშობის

ასაკის

მოქალაქეობის

ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის

რასის

პროფესიის

ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების

ჯანმრთელობის მდგომარეობის

საცხოვრებელი ადგილის

ოჯახური მდგომარეობის

ეროვნული

რელიგიის ან რწმენის

შეზღუდული შესაძლებლობის

დაბადების ადგილის

სექსუალური ორიენტაციის

პოლიტიკური ან სხვა შეხედულების

გენდერული იდენტობისა და გამოხატვის

ან სხვა ნიშნის მიუხედავად

„მეგობარო! დღეს ქალებიც თხოულობენ მამაკაცებთან თანასწორ უფლებას. სჯობს, მიეცეს, თუ არა, რას იტყვი? ...მე მხოლოდ ამას ვიტყვი: დიდად და დიდად საჭიროა დაკმაყოფილდეს ქალთა მოთხოვნილება. მჯერა, მწამს და ვერავინ შემაცვლეინებს ამ რწმენას. დღეს რომ მაღალ ბიუროკრატიულ წრეებში, გავლენიან ადგილებზე მინისტრებისა და სხვა, დედაკაცები იყვნენ, დღევანდელი გამწვავებული და გამწარებული ცხოვრება რუსეთისა მალამოს დაიდებდა და საჭირო რეფორმებს მალე ვეღირსებოდით. დედაკაცები ამდენს სიჯიუტეს არ გამოიჩენდნენ, როგორსაც დღეს იჩენენ მაღალი სფეროს მაღალნი პირნი ისინი ხომ მამაკაცები არიან „კაი ბიჭობად", „გულ-მაგრობად" არ გაასაღებდნენ თავიანთ სიჯიუტეს, ვინაიდგან დედაკაცნი უფრო ლმობიერნი, გრძნობიერნი არიან და დღევანდელი ცხოვრება ყველაზე მეტად რას მოითხოვს, თუ გარდა ერთის გრძნობისა, რომელსაც ეწოდება შებრალება, შეწყნარება. იფიქრე, თუ ასე არ იყოს''.

ვაჟა-ფშაველა

„კანონის წინაშე თანასწორობა ყველასი ერთად და თვითვეულისა ცალკე ერთი უმთავრესი ქვაკუთხედია იმ საფუძვლისა, რომელზედაც დამყარებულია კაცთა საზოგადოების წესიერი აგებულება. იგი კანონი კანონი არ არის, თუ მის წინაშე დიდპატარაობას, მაღალ-მდაბლობას ადგილი და სავალი ექმნება კაცთა მოქალაქურ ცხოვრების გზაზედ.''

იღია ჭავჭავაძე

„ადამიანი დაბადებულია იმისათვის, რომ ბედნიერი იყოს. ბედნიერი და სრულყოფილი ცხოვრება კი თავისუფალი სიყვარულის გარეშე არ არსებობს. სჯულად ქცეულ ტრადიციას, ცრურწმენებსა და კულტურულ ჩაკეტილობას ადამიანისათვის უბედურების გარდა არაფერი მოაქვს.“

ეკატერინე გაბაშვილი

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, 1948 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ იქნა მიღებული.

დეკლარაცია წარმოადგენს პირველ საერთაშორისო დოკუმენტს ისტორიაში, სადაც **თავმოყრილია ადამიანის ფუნდამენტური სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, და კულტურული უფლებები.** სწორედ ამიტომ, 10 დეკემბერს მსოფლიოში ადამიანის უფლებების საერთაშორისო დღე აღინიშნება.

დღესდღეობით გაეროს ყველა წევრი ქვეყანა იზიარებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ღირებულებებს. დეკლარაცია ყველაზე მრავალჯერ თარგმნილი დოკუმენტია მსოფლიოში. ის ხელმისაწვდომია 500-ზე მეტ ენაზე.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღებას წინ უძღვოდა 1945 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნა. **დეკლარაციის მიღების შემდეგ კი მრავალი საერთაშორისო ინსტრუმენტი შეიქმნა ადამიანის უფლებების დასაცავად.** მათ შორისაა, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია (1950), ევროპის სოციალური ქარტია (1961), გაერთიანებული ერების პაქტები “სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ” და “ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების” შესახებ (1966) და სხვა.

მუხლი 1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. მათ მინიჭებული აქვთ გონება და სინდისი და ერთმანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ ძმობის სულისკვეთებით.

მუხლი 2. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

ამ დეკლარაციით გამოცხადებული ყველა უფლება და ყველა თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველ ადამიანს განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, სახელდობრ, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა რწმენის, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი თუ სხვა მდგომარეობისა.

მუხლი 7. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

ყოველი ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, ყველას აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული კანონის მიერ.

ყველა ადამიანს აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული ამ დეკლარაციის დამრღვევი ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან და ასეთი დისკრიმინაციის ყოველგვარი წაქეზებისაგან.

ტოლერანტობის პრინციპების დეკლარაცია, 1995 წ.

„ტოლერანტობის პრიციპების დეკლარაციის“ თანახმად (ხელმოწერილია 1995 წლის 16 ნოემბერს პარიზში იუნესკოს წევრი 185 სახელმწიფოს მიერ), ტოლერანტობა „მსოფლიოს კულტურათა მდიდარი მრავალფეროვნების, თვითგამოხატვის ფორმებისა და ადამიანის ინდივიდუალობის გამოვლინების შესაძლებლობათა პატივისცემა, მიღება და მართებული გაგებაა. მას ხელს უწყობს ცოდნა, ღიაობა, ურთიერთობა და აზრის, სინდისისა და შეხედულებათა თავისუფლება.

ტოლერანტობა - ესაა თავისუფლება მრავალფეროვნებაში. ეს არის არამარტო მორალური ვალი, არამედ პოლიტიკური და სამართლებრივი მოთხოვნილებაც.

ტოლერანტობა - სათნოებაა, რომელიც შესაძლებელს ხდის მშვიდობას და ომის კულტურის მშვიდობის კულტურით შეცვლას ეხმარება.

ტოლერანტობა - ესაა თავისუფლება მრავალფეროვნებაში

იუნესკოს ტოლერანტობის პრინციპების დეკლარაცია, 1995

16 ნოემბერი ტოლერანტობის საერთაშორისო დღეა